№13148
24.07.18ნ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2018 წლის 17 ივლისის კომიტეტის სხდომაზე განიხილა „ქალთა მოძრაობის" მიერ წარმოდგენილი პეტიცია (თან ახლავს 1 000 პირზე მეტი ელექტრონული ხელმოწერა) გენდერული ნიშნით მკვლელობისათვის (ფემიციდისთვის) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლის ან დამამძიმებელი გარემოების შემუშავებასთან დაკავშირებით.

დანართის სახით, გიგზავნით კომიტეტის დასკვნას და პეტიციის სრულ ტექსტს.

დანართი: 6 ფ.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2261679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

(„ქალთა მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილ
პეტიციასთან დაკავშირებით - #6394, 26.04.2018)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 17 ივლისის კომიტეტის სხდომაზე განიხილა „ქალთა მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი პეტიცია (თან ახლავს 1 000 პირზე მეტი ელექტრონული ხელმოწერა) გენდერული ნიშნით მკვლელობისათვის (ფემიციდისთვის) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლის ან დამამძიმებელი გარემოების შემუშავებასთან დაკავშირებით.

პეტიციის შინაარსი

პეტიციის ავტორები მიუთითებენ, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში **იმატა ქალების მკვლელობის ფაქტებმა,** რომლებიც, უმეტესად ჩადენილია გენდერული ნიშნით (ფემიციდი). პეტიციაში აღნიშნულია, რომ ოჯახური დანაშაულების უმრავლესობა ქალების წინააღმდეგ არის მიმართული, რითაც **ვლინდება დანაშაულის გენდერული ხასიათი.**

აღნიშნულის გათვალისწინებით, პეტიციის ავტორები აუცილებლად მიიჩნევენ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემდეგი სახის ცვლილებებს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ფემიციდის აკრძალვის მიზნით განისაზღვროს **სპეციალური მუხლი** (ფემიციდის როგორც დამოუკიდებელი ქმედების კრიმინალიზაცია) ან გენდერულად მოტივირებული მკვლელობისათვის სსკ-ს მოქმედ რედაქციას დაემატოს **დამამძიმებელი გარემოებები** და ამ დანაშაულისათვის განისაზღვროს 13-20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სხვა დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას - უვადო თავისუფლების აღკვეთა.

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2261679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პეტიციის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა იმსჯელა 2018 წლის 15 მაისის კომიტეტის სხდომაზე და პარლამენტის რეგლამენტის 240-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია პეტიციის შესწავლა და განხილვა.

პეტიციის შეფასება

კომიტეტმა, პეტიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები:

- 2018 წლის 30 მაისს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინა კანონპროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/221);

- ინიცირებული კანონპროექტები მოიცავს „ქალთა მოძრაობის“ პეტიციით წარმოდგენილ საკითხებს და შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის პრინციპთან. კერძოდ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით სსკ-ს 109-ე, 115-ე და 117-ე მუხლებისათვის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია „გენდერის ან გენდერული იდენტობის ნიშნით“ დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრდება არა მხოლოდ ფემიციდისათვის, არამედ მოცემული დამამძიმებელი გარემოებები უფრო ფართოა და მოიცავს მთლიანად, გენდერული ნიშნით ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობას;

- ამავდროულად, პროექტით გათვალისწინებულია ცვლილება სსკ-ს 53^1 მუხლში. კერძოდ, კანონპროექტით მუხლს ემატება მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 53^1 მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 240-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტმა პრინციპის დონეზე გაიზიარა „ქალთა მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი პეტიციის მოთხოვნა - გენდერული ნიშნით მკვლელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისა და გამკაცრების თაობაზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო კუთხით მოწესრიგება უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ უკვე ინიცირებული N07-2/221 კანონპროექტის ფარგლებში.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე



This petition had 1,102 supporters

ქალთა მოძრაობა started this petition to საქართველოს პარლამენტი

ქალების მკვლელობის შემაძრწუნებელი ფაქტები სულ უფრო გახშირდა საქართველოში. ეს მკვლელობები ჩვეულებრივი მკვლელობები არ არის. ქალებს სწორედ იმიტომ კლავენ, რომ ისინი ქალები არიან - ასეთ მკვლელობას ფემიციდი ჰქვია. ფემიციდი სხვა მკვლელობისაგან განსხვავდება. ხშირად ფემიციდის დროს მკვლელი მიიჩნევს, რომ ქალს სიკვდილით სჯის ისეთი საქციელისთვის, რომელიც ქალს არ შეეფერება მისი ქალობის/გენდერის გამო; ზოგჯერ მკვლელი მიიჩნევს, რომ ქალის მკვლელობით აღიდგინა საკუთარი ღირსება. ფემიციდი თავისი არსით დისკრიმინაციული დანაშაულია, ეს არის ქალების სიკვდილით დასჯა "ცუდი ქალობისათვის". ოჯახური დანაშაულების უმეტესობა ქალების წინააღმდეგ არის ჩადენილი და ამით ვლინდება დანაშაულის გენდერული ხასიათი. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ფემიციდს. ფემიციდი ისჯება ზუსტად ისე, როგორც სხვა ნებისმიერი მკვლელობა.

რადგან დღეს საქართველოში ქალები განიცდიან მრავალმხრივ ჩაგვრას და დისკრიმინაციას, მათი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება არ არის დაცული და დღეს ქალებს სიკვდილით სჯიან, ამ პეტიციის ხელისმომწერნი მივმართავთ

საქართველოს პარლამენტს

მიიღოს სპეციალური მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში ფემიციდის აკრძალვის შესახებ, ან გამოყოს გენდერულად მოტივირებული მკვლელობა დამამძიმებელ გაერმოებად და განსაზღვროს ამ დანაშაულისთვის 13-20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა; ხოლო სხვა დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევებში უვადო პატიმრობა.

6394
26 04 2018 54

პროკურატურას

სპეციალური მუხლის ამოქმედებამდე ჩადენილი ფემიციდის შემთხვევებში პროკურატურამ გამოკვეთოს გენდერული დისკრიმინაციის მოტივი, რათა

ნუსხა: №5
26.04.2018

მოსამართლემ შეძლოს სანქციის დამძიმება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

დროულად შეიმუშაოს და ეფექტურად აღასრულოს რისკების შეფასება, რათა ყველა საშუალებით მოხდეს ფემიციდის თავიდან აცილება.

საქართველოს პრეზიდენტს

არ გამოიყენოს შეწყალების უფლებამოსილება ფემიციდსა და სხვა გენდერული სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე.

Updates

Keep your supporters engaged with a news update. Every update you post will be sent as a separate email to signers of your petition.
Post an update

1. 6 days ago
   1,000 supporters
2. 1 week ago
   ქალთა მოძრაობა started this petition

Reasons for signing

ᲕᲝᲛᲝᲤᲝᲑᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲑᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ

თაქარ გოლიოკელი
ბავშვი „საკარი"
ქუთაისს 11ა, თბილისი
577735 735

Please enter a comment.

We were unable to post your comment. Please try again.

I'm signing because...

change.org

ქალთა მოძრაობა

Recipient: საქართველოს პარლამენტი

Letter: Greetings,

ქალთა მოძრაობის პეტიცია ფემიციდზე